



MES 1 21 0000575907



15/06/2021

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში **2021 წლის 2 ივნისს**.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ

Join Zoom Meeting:

<https://us02web.zoom.us/j/82059340599?pwd=K003UnZLdXlpNmcyRm41cUNaSVhPZz09>

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
(შემდგომში-საბჭო) წევრები:**

ნანა ყუფუნია - შპს „თბილცემენტ გრუპის“ ადამიანური რესურსების მართვისა და ორგანიზაციული განვითარების პროექტის ხელმძღვანელი / საბჭოს თავმჯდომარე

შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

მარიამ ჩაგელიშვილი - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამის „კერძო სექტორის განვითარება და პროფესიული განათლება სამხრეთ კავკასიაში“ ექსპერტი, საბჭოს წევრი;

ნინო კაკულია - სსიპ - აწარმოე საქართველოში - ინვესტირებთან ურთიერთობის მენეჯერი, საბჭოს წევრი;

ქრისტინა რზგოევა - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი, საბჭოს წევრი;

რუსუდან გიგაშვილი - ა(ა)იპ - აგრო დუოს თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;

სერგო ნოზაძე - ადამიანური რესურსების მართვის პროფესიონალთა ასოციაციის პრეზიდენტი / საბჭოს წევრი

ნინო ველთაური - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი / საბჭოს წევრი

დეა აბულაძე - სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოს პროგრამების მართვის დეპარტამენტის „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამის“ ქვეპროგრამის - „ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა“ - პროგრამული განვითარების კოორდინატორი / საბჭოს წევრი

მარიამ ქუჩულორია - ა(ა)იპ - ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე / საბჭოს წევრი;

ნატალია კვაჭანტირაძე - საქართველოს ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარე / საბჭოს წევრი

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ქეთი ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

ნინო სტეფანიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;

ლონდა მინდიაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;

მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

ლანა გაჩეჩილაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღა“
ირმა მეგრელიძე - ხარისხის მართვის მენეჯერი

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
თეონა ხუფენია - რექტორი,
მანანა სამუშია - პროფესიული განათლების განვითარების სამსახურის უფროსი,
მანანა ჭანტურია - პროფესიული პროგრამების განყოფილების უფროსი,
ქეთევან ლომაია - პროფესიული პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი,
ავქსენტი პაპავა - დამსაქმებელი, მოდულების განმახორციელებელი პერსონალი, სდს პროგრამის კოორდინატორი.

სსიპ - კოლეჯი „ბლექსი“
გიორგი გოგიტიძე - დირექტორი,
მაია თოიძე - დირექტორის მოადგილე.

სსიპ - კოლეჯი „მერმისი“
ნონა ლუდუშაური - დირექტორი,
ნანა ნამგალაძე - ხარისხის მართვის მენეჯერი.

სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“
მამია ჯანჯალია - დირექტორი,
თამარ შალვაშვილი - დირექტორის მოადგილე,
ნინო ქიტიაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფისა და პროგრამების მენეჯერი,
მიხეილ სამხარაძე - კომპიუტერული ქსელის, სისტემების და CISCO -ს აკადემიის ადმინისტრატორი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ ხელმძღვანელი.

სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“
ნოდარ ხარაზიშვილი - დირექტორი,

გიორგი დიერაშვილი - დირექტორის მოადგილე,
თამარ გიორგობიანი - ხარისხის მართვის მენეჯერი,
მაია ოშიაძე - იურისტი.

სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

ირაკლი შარაბიძე - რექტორი,
მურთაზ დევაძე - რექტორის მოადგილე,
ირაკლი კაცაძე - რექტორის პირველი მოადგილე,
ნინო ყურშუბაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი,
ბესიკ ჩხიკვაძე - ფოთის ფილიალის - საზღვაო სასწავლო-საწვრთნელი ცენტრის უფროსი,
ნონა კოკია - ფოთის ფილიალის - სასწავლო და საწვრთნელი პროგრამების უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი,
გოჩა გოგიტიძე - პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსი.

სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯ „აისი“

მალხაზ ასლამაზაშვილი - დირექტორი,
დავით პაპაშვილი - დირექტორის მოადგილე,
ლელა ბერიაშვილი - ხარისხის მართვის მენეჯერი.

სსიპ - კოლეჯი „სპექტრი“

როინ ტაკიძე - დირექტორი,
ვარლამ ავალიშვილი - დირექტორის მოადგილე,
თეიმურაზ მაჩაიძე - დირექტორის მოადგილე,
ეკატერინე მაძღარაშვილი - იურისტი,
ნოდარ მეგრელიშვილი - ხარისხის მართვის მენეჯერი.

სსიპ - კოლეჯი „ფაზისი“

ნინო ბაკურაძე - დირექტორი,
ეკატერინე ფოჩხუა - ხარისხის მართვის მენეჯერი.

შპს - საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA

ია ერაძე - დირექტორი,
ნათელა ჩაჩუა - ხარისხის მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თეა კორძაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი,
სერგო სვანაძე - პროფესიული და უწყვეტი განათლების ცენტრის ხელმძღვანელი,
ნანა შარაბიძე - პროფესიული და უწყვეტი განათლების ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი.

შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეა

ვასილ კიკნაძე - დირექტორი,
მაია ჩიხლაძე - დირექტორის მოადგილე,
ხათუნა მასიაია - ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი,
დალი კალაძე - სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი.

ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯი „კონსტრუქტ2“

თამთა კვინიკაძე - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი,
კონსტანტინე ქავთარაძე - ფინანსური მენეჯერი,

მარიამ სხილაძე - ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი.

შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელი

შორენა ხაჭაპურიძე - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი.

შპს - საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯი

სულხან სულხანიშვილი - დირექტორი,

თინათინ ენდელაძე - ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი.

ავტორიზაციის ექსპერტები:

ნანა შარაბიძე,
გიორგი ბერია,
მანანა მახარაშვილი,
გივი დოლიძე,
იაზონ დანელია,
ქეთევან ბოტკოველი,
გიორგი ბერაია,
დიანა გახარია,
ვანო ოთხოზორია,
ნაზო წიბლიაშვილი,
თამარ ახალაძე,
ვახტანგ ბოგველიშვილი,
ვალერი ჯაჯანიძე.

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 14:05 საათი.

ქალბატონი ნანა ყუფუნია მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. აღნიშნა, რომ კვორუმი არის და საბჭო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიოჩანაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო **დღის წესრიგი:**

1. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ახალი ტალღისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 22 სექტემბრის №50 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;

12. სსიპ - კოლეჯ „ფაზისისთვის“ საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 16 სექტემბრის №178 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;

13. შპს - საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 9 აგვისტოს №132 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;

14. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 7 სექტემბრის №62 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;

15. შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას „საექთნო საქმის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;

16. ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ“-სთვის „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

17. ა(ა)იპ კოლეჯ „კონსტრუქტ“-სთვის „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;

18. შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელის „საექთნო განათლების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;

19. შპს - საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ და „კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

20. სსიპ - კოლეჯ „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

21. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „მეფუტკრეობის“ (ქ. სენაკი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

22. სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების“ და „მსუბუქი ავტომობილის ძრავას შეკეთების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

23. სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისთვის“ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ხომ არ იყო რომელიმე მხრიდან შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ქალბატონმა ნანი დალაქიშვილმა განაცხადა, რომ ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს აქვს შუამდგომლობა და ითხოვა ნებართვა, გაეცნო საბჭოსთვის სსიპ კოლეჯ „სპექტრის“ შუამდგომლობა საბჭოს მიმართ, რაც ეხებოდა 21 მაისის სხდომაზე კოლეჯისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღებისას, საბჭოს მხრიდან მონიტორინგის ჩანიშვნას. საბჭომ თანხმობა განაცხადა, მოესმინა კოლეჯის შუამდგომლობა. ნანი დალაქიშვილმა შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ ავტორიზაციის საბჭოს 21 მაისის სხდომაზე, კოლეჯ სპექტრისთვის 2 პროგრამის დამატების ფარგლებში, გაჟღერებული იქნა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შემდეგი რეკომენდაცია: „დაწესებულებამ უმოკლეს ვადაში მიმართოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის ასაღებად“. საბჭომ მოისმინა დაწესებულების არგუმენტები და 2 კომპონენტთან დაკავშირებით - 2.2. და 5.1. ჩანიშნა მონიტორინგი, აღსანიშნავია, რომ საქმისწარმოების ფარგლები იყო 2.2. კომპონენტი, მაგრამ გარემოებებიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი გადავიდა სხვა, 5.1. კომპონენტზე და დასკვნაში, რეკომენდაციის სახით, აისახა ზემოაღნიშნული ჩანაწერი. დაწესებულებამ მოისმინა რეკომენდაცია, დაწესებულების 4 წარმომადგენელი - დირექტორი, დირექტორის მოადგილე, იურისტი და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი - ესწრებოდა 21 მაისის საბჭოს სხდომას, მათი მხრიდან ეს რეკომენდაცია გაპროტესტებული არ ყოფილა, არ თქმულა, რომ მათ „შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა“ ჰქონდათ, თუმცა საბჭოს სხდომის დასრულებისთანავე კოლეჯის დირექტორისგან მივიღეთ ინფორმაცია, რომ ეს დასკვნა ჰქონდათ და მალე მივიღეთ ხარისხის სამსახურის უფროსის მეილიდან დირექტორის დავალებით გამოგზავნილი დასკვნა, რომელიც დათარიღებულია 2019 წლის ნოემბრით. . სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა თქვენი მოეტანა მათი შუამდგომლობა, ამ საკითხთან დაკავშირებით, აქვე აღვნიშნავთ, რომ დისტანციური ჩართვები რთული წარსამართია, შესაძლოა მართლაც ვერ შედგა კომუნიკაცია ექსპერტებსა და დაწესებულების წარმომადგენელს შორის და ექსპერტმა ამ დასკვნის ნაცვლად მიიღო სულ სხვა დოკუმენტი, რაც მიმოწერით დასტურდება, თუმცა, დაწესებულებას ექსპერტთა დასკვნა დადგენილ ვადებში მიეწოდა, მათ საკმარისი დრო ჰქონდათ, რომ გაცნობოდნენ მასში წარმოდგენილ რეკომენდაციებს, მაშინვე მოეხდინა რეაგირება, მოეწერათ, მინიმუმ საბჭოსთვის ან საბჭოს სხდომაზე მაინც გამოეხატა თავისი პოზიცია, რომ „შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ ბდასკვნა“ ადგილზე ჰქონდათ, რაც არ მომხდარა. ნანა ყუფუნია დაინტერესდა, შუამდგომლობის არსი რაში მდგომარეობს, ცენტრი შუამდგომლობს, რომ გადაიხედოს გადაწყვეტილება, თუ შუამდგომლობს კოლეჯს, რომ საბჭომ მოუსმინოს. რაზეც ნანი დალაქიშვილმა განმარტა, რომ სამსახური აწვდის კოლეჯის შუამდგომლობას საბჭოს და არ შუამდგომლობს, გადაიხედოს გადაწყვეტილება. ნანა ყუფუნიამ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ საბჭოს წინა, 21 მაისის სხდომა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ წარმართა, შორენა ჯაფარიძემ დამატებით განმარტა, რომ შემოწმების ფარგლები იყო 2.2., ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში დამატებით გახდა საჭირო ამ დოკუმენტის წარმოდგენა, რაც არ მოხდა არც ვიზიტის დროს და არც საბჭოს სხდომაზე 21 მაისს, შორენა ჯაფარიძის განმარტებით, მართლაც რთულია დისტანციური ვიზიტი, მაგრამ სხდომის დროს სავსებით შესაძლებელი იყო კოლეჯის წარმომადგენლებს გაეკეთებინათ განმარტება. თუმცა როგორც შორენა ჯაფარიძემ აღნიშნა, შესაძლოა ვერ გააცნობიერეს. როინ ტაკიძემ განმარტა, რომ დასკვნის პროექტი იყო დადებითი, მხოლოდ ერთი, განმავითარებელი რეკომენდაცია იყო ასახული, ამდენად ვერც გაიაზრა დაწესებულებამ, რომ ამ დასკვნას ითხოვდნენ ექსპერტები, რადგანაც საგანგებო სიტუაციების სამსახურთან მჭიდრო ურთიერთობა აქვთ, ადვილად შეძლებდნენ ამ საკითხის მოგვარებას. ამ ბოლო პერიოდში რამდენიმე ადმინისტრაციული

საქმისწარმოება იყო, მაგრამ ეს საკითხი არ დამდგარა, ნანა ყუფუნია აღნიშნა, არსებითი არის ის, რომ საბჭოს სხდომაზე დაწესებულებამ ვერ გააცნობიერა, რა დოკუმენტზე იყო საუბარი და დაწესებულების წარმომადგენელმა 21 მაისის სხდომაზე განაცხადა, რომ ეს დოკუმენტი ექნებოდათ ერთ თვეში, რაზეც როინ ტაკიძემ განმარტა, რომ როგორც კი დამთავრდა სხდომა, მაშინვე გადახედა რეკომენდაციას, მოიძია ეს დასკვნა და დაუკავშირდა ცენტრს, სამსახურის უფროსს და გადაუგზავნა ნანი დალაქიშვილს ეს დასკვნა. მისთვის გაურკვეველია, როდის და რატომ გაჩნდა ეს რეკომენდაცია. ნანა ყუფუნია ამბობს, რომ შესაძლოა ექსპერტის არაჯეროვან შესრულებაზე დადგეს საკითხი, რადგანაც კოლეჯამდე არ მოსულა ამ დოკუმენტის მოთხოვნის თაობაზე მეილი, დაინტერესდა, იყო თუ არა დირექტორთან შეთანხმებული ყველა გადაგზავნილი დოკუმენტი. დირექტორმა განმარტა, რომ ყოველთვის შეთანხმებულია და რომ არ ყოფილა ეს დოკუმენტი მოთხოვნილი. ნანა ყუფუნია აღნიშნავს, რომ საბჭო იმოქმედებს ისე, რომ არ დაზარალდეს სტუდენტის ინტერესები. ნანი დალაქიშვილმა წაიკითხა ექსპერტის განმარტება დოკუმენტის მოთხოვნასთან დაკავშირებით, „ექსპერტთა ჯგუფმა მოახდინა დოკუმენტაციის შესწავლა „იატაკისა და ფილის სამუშაოებისა“ და „სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაციის“ პროგრამების დამატების ფარგლებში და განახორციელა დისტანციური ვიზიტი მიმდინარე წლის 7 აპრილს თანამედროვე კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით. მატერიალური რესურსის ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის მიზნით მოხდა სასწავლო გარემოს (A,B,C გარემოს) დათვალიერება, C გარემოს დათვალიერების დროს ექსპერტების მხრიდან წამოიჭრა საკითხი, ჰქონდა თუ არა კოლეჯს დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. კოლეჯის წარმომადგენელისგან მივიღეთ სიტყვიერი თანხმობა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და დამატებით გადმოგზავნილ დოკუმენტებთან ერთად მივიღეთ 2019 წლის 11 ოქტომბერს შპს მშენ-ექსპერტის მიერ გაცემული ინსპექტირების დასკვნა. წარმოდგენილი დოკუმენტის შესწავლის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა შემდეგი განმავითარებელი რეკომენდაცია - „დაწესებულებამ უმოკლეს ვადაში მიმართოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის ასაღებად“ (დაკოპირებულია დასკვნიდან). აღნიშნული რეკომენდაცია დაფიქსირებულია ორივე წარმოების ფარგლებში შემუშავებულ დასკვნებში. აღნიშნული რეკომენდაცია არ არის დაფიქსირებული დასკვნის პროექტებში, თუმცა ექსპერტთა ჯგუფი არ არის შეზღუდული, რომ დასკვნაში გასცეს დამატებით განმავითარებელი რეკომენდაციები დაწესებულების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით“.

ნანი დალაქიშვილის განმარტებით, საბოლოო დასკვნა გადაეგზავნა დაწესებულებას, აღიქვს, როგორც რეკომენდაცია, თუმცა საბჭოს სხდომაზე ამ საკითხზე მეტი დეტალები მოითხოვეს საბჭოს წევრებმა და მეტი განმარტებები, რის საფუძველზეც საბჭომ სხვაგვარად შეაფასა და ჩათვალა, რომ ეს არ იყო განმავითარებელი რეკომენდაცია. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ რაც იქნა მოთხოვნილი ექსპერტებისგან, ის დოკუმენტაცია გაიგზავნა, არ ყოფილა მოთხოვნილი ექსპერტების მხრიდან დასკვნა „შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ“. ამდენად, არც წერილობით და არც სიტყვიერად არ მოუთხოვიათ. ნანა ყუფუნია დაინტერესდა, თუ ესწრებოდა დაწესებულების წარმომადგენელი, რატომ არ თქვა საბჭოს სხდომაზე იგივე, რაზეც მიიღო პასუხი, რომ ამ დოკუმენტის თაობაზე ვერ გაიაზრეს, თუ რას ეხებოდა საუბარი, ვერ გაიაზრეს, აღიქვს, როგორც განმავითარებელი რეკომენდაცია, და აღარ გაამახვილეს ყურადღება, ნანა ყუფუნია კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ ეს გამორჩა დაწესებულებას, საბჭოს გაჰყვინნ მსჯელობაში და დაადასტურეს, რომ ერთ თვეში წარმომადგენდნენ დოკუმენტს. როინ ტაკიძემ აღნიშნა, რომ დასამატებელი არაფერი აქვს, თუ მონიტორინგი დარჩება, ვერაფერს იზამენ, თუ ჩაიხსნება, იქნება უფრო ობიექტური. ნანა ყუფუნია აღნიშნა, რომ როგორც ჩანს, ხარვეზი იყო კომუნიკაციაში, დაეთანხმნენ საბჭოს, რომ დასკვნას ერთ თვეში წარმომადგენდნენ. კოლეჯის დირექტორმა კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ დაეთანხმა, იმ წუთისთვის ნამდვილად არ იცოდა,

რა დოკუმენტზე იყო საუბარი, არ უთქვამს, რომ ეს დასკვნა აქვს, დაეთანხმა, რომ არ ექნება პრობლემა, რომ თუ საჭირო იქნება ერთ თვეში წარმოადგენს დოკუმენტს. კოლეჯის დირექტორმა აღნიშნა, რომ კოლეჯისთვის 2 მიმართულების ხარჯებია გასაწევი, დასკვნის განმეორებით მისაღებად და მონიტორინგის საფასური. მარიამ ქუჩულორია მხარს უჭერს, რომ გაუქმდეს მონიტორინგი, თუ ამის სამართლებრივი ბერკეტი საბჭოს აქვს, რომ გადასახადების გადამხდელთა თანხები არ დაიხარჯოს მონიტორინგზე. არ ვამბობთ, რომ საბჭომ არასწორი გადაწყვეტილება მიიღო, განაცხადა მარიამ ქუჩულორიამ. თუ გვაქვს სამართლებრივად საშუალება, იქნებ შევცვალოთ გადაწყვეტილება და ზედმეტი ხარჯი აღარ გასწიოს კოლეჯმა. ნანა ყუფუნია განაცხადა, არ იქნება ურიგო, რომ მოხდეს მონიტორინგის ჩანიშვნის დინამიკის შესწავლა შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურის მიერ. ნანა ყუფუნია კიდევ ერთხელ გაიმეორა, საბჭოსთვის გასაგებია, რომ დოკუმენტი აქვს კოლეჯს, მაგრამ საბჭოზე არ უთქვამთ ამის თაობაზე. მარიამ ქუჩულორიამ დაამატა, ნამდვილად ჩანდა, რომ მოულოდნელი იყო მათთვის და თუ სამართლებრივად არის შესაძლებელი, შევცვალოთ გადაწყვეტილება. საბჭოს შეუძლია იმსჯელოს, თავისი პოზიცია ჩამოაყალიბოს ზეპირი მოსმენის ფარგლებში. ნანა ყუფუნია აზრით, საბჭოს არა აქვს თავისი გადაწყვეტილების გაუქმების უფლებამოსილება. ისევ ბატონმა როინ ტაკიძემ ითხოვა სიტყვა და აღნიშნა, რომ მისი ემოციური ფონი წინა საბჭოს სხდომაზე იყო მაღალი და იმიტომ დაეთანხმა, იმ მოცემულობით, საბჭომ მიიღო სწორი გადაწყვეტილება, თუმცა კიდევ ერთხელ გაიმეორა მან, რომ სხდომის დამთავრებისთანავე დაუკავშირდა ცენტრის სამსახურის უფროსს, განაცხადა, რომ ჰქონდა აღნიშნული დასკვნა და გადმოაგზავნა, ჩვენი თხოვნაა, განაცხადა მან, რომ ჩანიშნული მონიტორინგი, რომელიც იმ მოცემულობით სწორად ჩაინიშნა, მოიხსნას. მეორე კომპონენტს რაც შეეხება, გავაკეთეთ ინიცირება ცენტრის კვალიფიკაციების სამსახურში, რაკი მოდულის დამტკიცებულ ნაწილში იყო ტექნიკური უზუსტობა. ამდენად, ორივე კომპონენტში გვინდა ჩაიხსნას მონიტორინგი, განაცხადა კოლეჯის დირექტორმა.

ნანი დალაქიშვილმა დაამატა, რომ 2.2. კომპონენტის ფარგლებში ჩანიშნული მონიტორინგის გაუქმებას სამსახური საერთოდ ვერ დაუჭერს მხარს, რადგანაც, როცა საბჭოზე წავიდა მსჯელობა 2.2. კომპონენტის ფარგლებში მონიტორინგის ჩანიშვნასთან დაკავშირებით, გამოიკვეთა უფრო ღრმა პრობლემები, განმახორციელებლის ხელფასის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, მასთან ხელშეკრულების შინაარსთან დაკავშირებით, სამსახური ეთანხმება საბჭოს პოზიციას და აღნიშნავს, რომ ექსპერტთა ჯგუფს არასწორად ჰქონდა სიტუაცია შეფასებული და გამოტანილი ჰქონდა, როგორც რეკომენდაცია. ნანა ყუფუნია ხაზი გაუსვა, რომ საბჭო გადადის საკითხის ხელახალი განხილვის რეჟიმში, რაც არასწორია, ამდენად, რაკი დებულების 42-ე მუხლის მე-10 პუნქტი აძლევს რა საჭოს უფლებას, მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ ცენტრმა შეისწავლოს დამატებით როგორც ექსპერტების დასკვნა, ასევე, საბჭოს რეაგირება და უფლებამოსილების ფარგლებში იმოქმედა თუ არა საბჭომ, ამდენად, შუამდგომლობს ცენტრის წინაშე, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ჩართულობით იქნება ეს, აუდიტი თუ სხვა, მოხდეს ყველა გარემოების დეტალური შესწავლა. თუ კოლეჯს სურს, შეიცვალოს გადაწყვეტილება, უნდა მიმართოს სააპელაციო საბჭოს. მე მოვუწოდებ ცენტრს, დაამატა ნანა ყუფუნია, დამატებით შეისწავლოს და უახლოეს გონივრულ ვადაში წარმოგვიდგინოს. მარიამ ჩაგელიშვილმა დაამატა, რომ 53 წუთია საბჭო ამ საკითხზე მსჯელობს, ეს არის არასამართლიანი და არასწორი პრაქტიკა. ფაქტია, კომუნიკაციაში გაუგებრობა იყო, წინა სხდომაზე რომ დაწესებულების მხრიდან ასეთი მობილიზება ყოფილიყო და დასაბუთებული განმარტება, რაც დღეს მოვისმინეთ, არ მივიდოდით ამ გადაწყვეტილებამდე, აღნიშნა მან. რაც შეეხება 2.2. კომპონენტს, მე როგორც საბჭოს რიგითი წევრმა, შეგნებულად მივიღე გადაწყვეტილება და არ შევიცვლი, დაამატა მარიამ ჩაგელიშვილმა. ვეთანხმები მარიამ ქუჩულორიას, რეალობასაც აღვნიშნავ, რომ გასული წლის ადმინისტრაციული წარმოებების ფარგლებში ბევრი მონიტორინგი ჩავნიშნეთ, მაგრამ ყოველთვის ვცდილობდით დამზოგავი მიდგომა გვექონოდა, და წელსაც ასევე იქნება, ამიტომ ახლაც ვიმეორებ, რომ რაკი კოლეჯს არ

ჰქონდა რეაგირება, აუცილებლად უნდა მოიკვლიოს სამსახურმა. ქრისტიან რზგოევამ არ მიიჩნია მიზანშეწონილად დღეს საკითხის განმეორებითი განხილვა, დაწესებულებას პირველ ეტაპზე შეეძლო მოემართა ან დასკვნის გაცნობის შემდეგ, რაც არ მომხდარა, აქ უკვე სისტემურ პრობლემასთან გვაქვს საქმე, ეს საკითხი სააპელაციო საბჭოზე უნდა იქნას განხილული, თორემ ცუდ პრეცედენტს შევქმნით, ნებისმიერი სასწავლებელი გამოიყენებს ამ გზას, ჩვენი გადაწყვეტილება იყო საკმაოდ ლოიალური და კოლეჯის პოზიცია არ მიმაჩნია სწორად, საბჭოს გადაწყვეტილება ვერ შეიცვლება ამ გზით. მხოლოდ აპელაციის გზით შეიძლება შეიცვალოს, მით უმეტეს, რომ მეორე კომპონენტშიცაა ჩანიშნული მონიტორინგი. მნიშვნელოვანია, რომ შესწავლილ იქნას, რათა მომავალში თავიდან ავიცილოთ მსგავსი შემთხვევები, ვსარგებლობთ იმ უფლებამოსილებით, რაც გვაქვს, შესწავლილ იქნას ჩანაწერები და ყველა მხარის ქმედება, როგორც ექსპერტის, ასე საბჭოსი, იქნას დეტალურად შესწავლილი და საბჭოზე გამოტანილი, აღნიშნა ქრისტიან რზგოევამ. **ნანა ყუფუნია**მ საბოლოოდ განაცხადა, რომ საბჭოს მიზანშეწონილად მიაჩნია, ცენტრმა შეისწავლოს დამატებით როგორც ექსპერტების დასკვნა, ასევე, საბჭოს რეაგირება და უფლებამოსილების ფარგლებში იმოქმედა თუ არა საბჭომ, ამდენად, შუამდგომლობს ცენტრის წინაშე, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ჩართულობით იქნება ეს, აუდიტი თუ სხვა, მოხდეს ყველა გარემოების დეტალური შესწავლა. თუ კოლეჯს სურს, შეიცვალოს გადაწყვეტილება, უნდა მიმართოს სააპელაციო საბჭოს. მე მოვუწოდებ ცენტრს, დაამატა ნანა ყუფუნია, დამატებით შეისწავლოს და უახლოეს გონივრულ ვადაში წარმოგვიდგინოს შესწავლის შედეგები.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყების თაობაზე და წარდგენა სთხოვა ნანი დალაქიშვილს. ქალბატონმა ნანი დალაქიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ როგორც საბჭოსთვის ცნობილია, 2016 წლიდან პროფესიული განათლების სისტემაში ინერგება ე.წ. დუალური პროგრამები, რომელთა პროფესიული მოდულების სწავლის შედეგების 50%-ზე მეტის მიღწევა ხორციელდება პარტნიორ კომპანიაში/სასწავლო საწარმოში. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებაში 2020 წლის თებერვალში შეტანილი ცვლილებების შემდეგ სავალდებულო გახდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრისას, ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით პროგრამაზე ადგილების რაოდენობა განაწილდეს განხორციელების ადგილის და განხორციელების ფორმის მიხედვით. განხორციელების ფორმის მიხედვით ადგილების განაწილება გასული წლების ავტორიზაციის საბჭოს რიგ გადაწყვეტილებებში არ ფიქსირდება, რამდენადაც ამას ავტორიზაციის დებულება არ მოითხოვდა. პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა, სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის თხოვნით, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობით, შეისწავლა ყველა გადაწყვეტილება, სადაც არ არის ადგილების რაოდენობა განაწილებული განხორციელების ფორმის მიხედვით, ასევე, შესაბამისი განაცხადები თანდართული ხელშეკრულებებით, საბჭოების სხდომის ოქმები და ექსპერტთა დასკვნები, შეაჯერა მონაცემები საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და წარმოგიდგენთ 13 გადაწყვეტილებაში ცვლილების საკითხს, ცვლილების მიზანია, საბჭოს გადაწყვეტილებებში გაიმძღნოს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა პროფესიული პროგრამის განხორციელების ფორმის მიხედვით. საგანმანათლებლო დაწესებულებების წერილები საკითხის ინიცირების და პარამეტრების დაზუსტების თაობაზე გადმოგზავნილია საბჭოსათვის. თუ საბჭო თანახმა იქნება თანმიმდევრულად, დღის წესრიგის მიხედვით წარუდგენს სამსახური ცვლილებების პროექტებს, რაზეც საბჭოს თავმჯდომარე დაეთანხმა.

1. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ახალი ტალღისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 22 სექტემბრის №50 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა.

ნანი დალაქიშვილმა საბჭოს წარუდგინა საბჭოს გადაწყვეტილებაში ცვლილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა, კოლეჯ „ახალი ტალღის“ „სასტუმრო მომსახურების“, „სარესტორნო მომსახურების“ და „კულინარიის ხელოვნების“ მოდულური და დუალური ფორმით განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 22 სექტემბრის №50 გადაწყვეტილებაში მითითებული პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობების განაწილებას. საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, ეთანხმებოდა თუ არა კოლეჯი წარმოდგენილ გადანაწილებას, რაზეც დაწესებულების წარმომადგენლის მხრიდან თანხმობა მიიღო.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ახალი ტალღისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 22 სექტემბრის №50 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 11

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: შევიდეს ცვლილებასსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ახალი ტალღისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 22 სექტემბრის №50 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ და დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (დანართი 1).

2. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ახალი ტალღისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 29 მარტის №50 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა.

ნანი დალაქიშვილმა საბჭოს წარუდგინა საბჭოს გადაწყვეტილებაში ცვლილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა, კოლეჯ „ახალი ტალღის“ მესამე დონის “ შედუღების“ მოდულური და დუალური ფორმით განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 29 მარტის №50 გადაწყვეტილებაში მითითებული პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობების განაწილებას. საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, ეთანხმებოდა თუ არა კოლეჯი წარმოდგენილ გადანაწილებას, რაზეც დაწესებულების წარმომადგენლის მხრიდან თანხმობა მიიღო.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ახალი ტალღისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 29 მარტის №50 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 11

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: შევიდეს ცვლილებასიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ახალი ტალღისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 29 მარტის №50 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ და დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (დანართი 2).

3. სსიპ -ს საზოგადოებრივ კოლეჯ „ახალი ტალღისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 22 მარტის №83 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა.

ნანი დალაქიშვილმა საბჭოს წარუდგინა საბჭოს გადაწყვეტილებაში ცვლილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა, კოლეჯ „ახალი ტალღის“ „კონდიტერიის“ მოდულური და დუალური ფორმით განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 22 მარტის №83 გადაწყვეტილებაში მითითებული პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობების განაწილებას. საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, ეთანხმებოდა თუ არა კოლეჯი წარმოდგენილ გადანაწილებას, რაზეც დაწესებულების წარმომადგენლის მხრიდან თანხმობა მიიღო.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ახალი ტალღისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 22 მარტის №83 ცვლილების შეტანის შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 11

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: შევიდეს ცვლილებასიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ახალი ტალღისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 22 მარტის №83 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ და დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (დანართი 3).

4. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდში სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 28 მაისის №113 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა.

ნანი დალაქიშვილმა საბჭოს წარუდგინა საბჭოს გადაწყვეტილებაში ცვლილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის „დეკორატიული მეზღვების“ მოდულური და დუალური ფორმით განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 28 მაისის №113 გადაწყვეტილებაში მითითებული პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობების განაწილებას. საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, ეთანხმებოდა თუ არა საგანმანათლებლო დაწესებულება წარმოდგენილ გადანაწილებას, რაზეც დაწესებულების წარმომადგენლის მხრიდან თანხმობა მიიღო.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 28 მაისის №113 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 11

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: შევიდეს ცვლილება სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 28 მაისის №113 და დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (**დანართი 4**).

5. სსიპ - კოლეჯი „ბლექის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 30 ივლისის №138 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა.

ნანი დალაქიშვილმა საბჭოს წარუდგინა საბჭოს გადაწყვეტილებაში ცვლილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა, კოლეჯ „ბლექის“ „მშენებლობის წარმოება/იატაკისა და ფილის სამუშაოების“ მოდულური და დუალური ფორმით განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 30 ივლისის №138 გადაწყვეტილებაში მითითებული პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობების განაწილებას. საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, ეთანხმებოდა თუ არა საგანმანათლებლო დაწესებულება წარმოდგენილ გადანაწილებას, რაზეც დაწესებულების წარმომადგენლმა განაცხადა, რომ ითხოვს საკითხის გადატანას რაოდენობების დასაზუსტებლად, რაზეც საბჭოს თავმჯდომარისგან თანხმობა მიიღო.

6. სსიპ - კოლეჯი „მერმისის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 15 აგვისტოს №157 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა.

ნანი დალაქიშვილმა საბჭოს წარუდგინა საბჭოს გადაწყვეტილებაში ცვლილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა, კოლეჯ „მერმისის“ „კონდიტერიის“ მოდულური და დუალური ფორმით განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 15 აგვისტოს №157 გადაწყვეტილებაში მითითებული პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობების განაწილებას. საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, ეთანხმებოდა თუ არა

საგანმანათლებლო დაწესებულება წარმოდგენილ გადანაწილებას, რაზეც დაწესებულების წარმომადგენლის მხრიდან თანხმობა მიიღო.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - კოლეჯი „მერმისის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 15 აგვისტოს №157 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 11

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: შევიდეს ცვლილება სსიპ - კოლეჯი „მერმისის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 15 აგვისტოს №157 გადაწყვეტილებაში და დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (დანართი 5).

7. სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 10 მაისის №14 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა.

ნანი დალაქიშვილმა საბჭოს წარუდგინა საბჭოს გადაწყვეტილებაში ცვლილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა, კოლეჯ „ინფორმაციის ტექნოლოგიის აკადემიის“ „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ მოდულური და დუალური ფორმით განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 10 მაისის №14 გადაწყვეტილებაში მითითებული პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობების განაწილებას. საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, ეთანხმებოდა თუ არა საგანმანათლებლო დაწესებულება წარმოდგენილ გადანაწილებას, რაზეც დაწესებულების წარმომადგენლის მხრიდან თანხმობა მიიღო.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 10 მაისის №14 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 11

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: შევიდეს ცვლილება სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 10 მაისის №14 გადაწყვეტილებაში და დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (დანართი 6).

8. სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის

საბჭოს 2018 წლის 6 სექტემბრის №134 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა.

ნანი დალაქიშვილმა საბჭოს წარუდგინა საბჭოს გადაწყვეტილებაში ცვლილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა, კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ მოდულური და დუალური ფორმით განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 6 სექტემბრის №134 გადაწყვეტილებაში მითითებული პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობების განაწილებას. საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, ეთანხმებოდა თუ არა საგანმანათლებლო დაწესებულება წარმოდგენილ გადანაწილებას, რაზეც დაწესებულების წარმომადგენლის მხრიდან თანხმობა მიიღო.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 6 სექტემბრის №134 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 11

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: შევიდეს ცვლილება სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 6 სექტემბრის №134 გადაწყვეტილებაში და დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (დანართი 7).

9. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 01 სექტემბრის №59 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა.

ნანი დალაქიშვილმა საბჭოს წარუდგინა საბჭოს გადაწყვეტილებაში ცვლილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა, სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის „პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტის“ მოდულური და დუალური ფორმით განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 01 სექტემბრის №59 გადაწყვეტილებაში მითითებული პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობების განაწილებას. საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, ეთანხმებოდა თუ არა საგანმანათლებლო დაწესებულება წარმოდგენილ გადანაწილებას, რაზეც დაწესებულების წარმომადგენლის მხრიდან თანხმობა მიიღო.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 01 სექტემბრის №59 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 11

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: შევიდეს ცვლილება სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 01 სექტემბრის №59 გადაწყვეტილებაში და დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (**დანართი 8**).

10. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „აისის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 23 სექტემბრის №26 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა.

ნანი დალაქიშვილმა საბჭოს წარუდგინა საბჭოს გადაწყვეტილებაში ცვლილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა, კოლეჯ „აისის“ „მევენახეობა-მეღვინეობის“ მოდულური და დუალური ფორმით განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 23 სექტემბრის №26 გადაწყვეტილებაში მითითებული პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობების განაწილებას. საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, ეთანხმებოდა თუ არა საგანმანათლებლო დაწესებულება წარმოდგენილ გადანაწილებას, რაზეც დაწესებულების წარმომადგენლმა განაცხადა, რომ ითხოვს საკითხის გადატანას რაოდენობების დასაზუსტებლად, რაზეც საბჭოს თავმჯდომარისგან თანხმობა მიიღო.

11. სსიპ - კოლეჯ „სპექტრის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 30 ივლისის №145 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა.

ნანი დალაქიშვილმა საბჭოს წარუდგინა საბჭოს გადაწყვეტილებაში ცვლილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა, კოლეჯ „სპექტრის“ „წყალმომარაგების სისტემების“, მესამე დონის „ელექტრობის“ და მესამე დონის „შემდუღებელის“ მოდულური და დუალური ფორმით განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 30 ივლისის №145 გადაწყვეტილებაში მითითებული პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობების განაწილებას. საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, ეთანხმებოდა თუ არა საგანმანათლებლო დაწესებულება წარმოდგენილ გადანაწილებას, რაზეც დაწესებულების წარმომადგენლის მხრიდან თანხმობა მიიღო.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - კოლეჯ „სპექტრის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 30 ივლისის №145 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 11

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: შევიდეს ცვლილება სსიპ - კოლეჯ „სპექტრის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 30 ივლისის №145 გადაწყვეტილებაში და დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (**დანართი 9**).

12. სსიპ - კოლეჯ „ფაზისისთვის“ საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 16 სექტემბრის №178 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა.

ნანი დალაქიშვილმა საბჭოს წარუდგინა საბჭოს გადაწყვეტილებაში ცვლილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა, კოლეჯ „ფაზისის“ „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის“ მოდულური და დუალური ფორმით განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 16 სექტემბრის №178 გადაწყვეტილებაში მითითებული პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობების განაწილებას. საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, ეთანხმებოდა თუ არა საგანმანათლებლო დაწესებულება წარმოდგენილ გადანაწილებას, რაზეც დაწესებულების წარმომადგენლის მხრიდან თანხმობა მიიღო.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - კოლეჯ „ფაზისისთვის“ საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 16 სექტემბრის №178 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 11

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: შევიდეს ცვლილება სსიპ - კოლეჯ „ფაზისისთვის“ საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 16 სექტემბრის №178 გადაწყვეტილებაში და დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (დანართი 10).

13. შპს - საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 9 აგვისტოს №132 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა.

ნანი დალაქიშვილმა საბჭოს წარუდგინა საბჭოს გადაწყვეტილებაში ცვლილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა, შპს - საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ს „ბუღალტრული აღრიცხვის“ მოდულური და დუალური ფორმით განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 9 აგვისტოს №132 გადაწყვეტილებაში მითითებული პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობების განაწილებას. საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, ეთანხმებოდა თუ არა საგანმანათლებლო დაწესებულება წარმოდგენილ გადანაწილებას, რაზეც დაწესებულების წარმომადგენლის მხრიდან თანხმობა მიიღო.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი შპს - საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 9 აგვისტოს №132 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

კენჭისყრის შედეგები:

გადაწყვეტილება: შევიდეს ცვლილება შპს - საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 9 აგვისტოს №132 გადაწყვეტილებაში და დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (დანართი 11).

14. სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 7 სექტემბრის №62 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა.

საკითხი წარადგინა ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ქალბატონმა ნანი დალაქიშვილმა, რომელმაც საბჭოს წარუდგინა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის შუამდგომლობა, რომელიც ეხებოდა ცენტრის დირექტორის ბრძანებით „ბიბლიოთეკარის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე უნივერსიტეტის მიერ პროგრამის შესაბამისობაში მოყვანას. კერძოდ, როგორც უნივერსიტეტი საბჭოსთვის გადმოგზავნილ წერილში გვატყობინებს, საგანმანათლებლო პროგრამაში „საბიბლიოთეკო საქმე“ ცვლილება განიცადა: ა) პროგრამის სახელწოდება - „ბიბლიოთეკარი“ შეიცვალა და ჩამოყალიბდა „საბიბლიოთეკო საქმე“; ბ) მისანიჭებელი კვალიფიკაცია - „ბიბლიოთეკარის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია“ შეიცვალა და ჩამოყალიბდა „საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საბიბლიოთეკო საქმეში“; გ) პროგრამის მოცულობა კრედიტებით - 94 კრედიტი შეიცვალა და გახდა 86 კრედიტი (არჩევითი მოდულების ამოღებით სასწავლო გეგმიდან); თანდართული ცვლილების აქტში მითითებულია, რომ ცვლილებები შეეხება ყველა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოქმედ და შემდგომში ჩარიცხულ სტუდენტებს, გარდა საგანმანათლებლო პროგრამაზე „ბიბლიოთეკარი“ 2018 წლის შემოდგომის მიღების პროფესიული სტუდენტებისა, რომლებმაც სწავლა დაასრულეს 2021 წლის 04 აპრილს (აკადემიური საბჭოს მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების განხორციელებამდე), შესაბამისად მათ კვალიფიკაცია მიენიჭებათ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „ბიბლიოთეკარი“ განსაზღვრული კვალიფიკაციის მიხედვით. საგანმანათლებლო დაწესებულება ითხოვს, შევიდეს ცვლილება სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 7 სექტემბრის №62 გადაწყვეტილებაში, შეიცვალოს პროგრამის შესაბამისი პარამეტრები. სამსახურმა შეისწავლა ცვლილების თაობაზე წარმოდგენილი ფორმა და რამდენადაც ცვლილებები ტექნიკური ხასიათისაა, არ ჩათვალა მიზანშეწონილად მონიტორინგის განხორციელება და შუამდგომლობს უნივერსიტეტს საბჭოს წინაშე გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, ეთანხმებოდა თუ არა საგანმანათლებლო დაწესებულება წარმოდგენილ ცვლილებას, რაზეც დაწესებულების წარმომადგენლის მხრიდან თანხმობა მიიღო.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 7 სექტემბრის №62 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 11

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: შევიდეს ცვლილება სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 7 სექტემბრის №62 და დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (დანართი 12).

15. შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას „საექთნო საქმის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საბჭოს წინაშე ექსპერტთა დასკვნა წარმოადგინეს ქალბატონმა ნანა შარაბიძემ და ბატონმა გიორგი ბერიამ. ადმინისტრაციული წარმოება ეხებოდა „საექთნო განათლების“ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდას, რისთვისაც შეფასდა ავტორიზაციის სტანდარტების 2.2. კომპონენტი. კოლეჯმა ამ პროგრამის განხორციელების უფლება მოიპოვა 2019 წელს, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობით 375, ახლა ითხოვს 100 სტუდენტით რაოდენობის გაზრდას, ჯამში 475 პროფესიული სტუდენტი. დაწესებულებამ განაცხადის გაკეთებამდე, დაიმატა ფართი, თუმცა განაცხადში კომპონენტი შეფასებული აქვს, როგორც მეტწილად შესაბამისი, ექსპერტებიც დაეთანხმნენ ამ შეფასებას, რამდენადაც სარემონტო სამუშაოები ჯერ კიდევ არ არის დასრულებული დამატებულ ფართში. შესაბამისობის გაუმჯობესების გეგმაში მითითებულია, რომ სარემონტო სამუშაოები დასრულდება ივნისში, დაწესებულებამ დაიმატა შვიდი „A“ გარემო. ექსპერტები თვლიან, რომ დაწესებულების მიერ რამოდენილი გეგმით განსაზღვრულ ვადაში სამუშაოები დასრულდება. გარდა ამისა, კოლეჯმა განახლა ხელშეკრულებები პარტნიორ კლინიკებთან, კერძოდ, 2021 წლის მარტში განახლდა ხელშეკრულება სს „ევექსის ჰოსპიტლებთან“, სადაც გარკვევით ჩაიწერა, რომ ევექსის ჰოსპიტლები მიიღებს ერთდროულად 180 პროფესიულ სტუდენტს და უზრუნველყოფს, როგორც მატერიალური ბაზით და სახარჯი მასალებით, ასევე ადამიანური რესურსით. ხელშეკრულება განახლდა, ასევე, შპს „პინეო სამედიცინო ეკოსისტემასთან“, სადაც განისაზღვრა, რომ სასწავლო პროცესის დაწყებისას დაზუსტდება პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რომელსაც მიიღებს პარტნიორი კომპანია. ადამიანური რესურსი სრულ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, 30 პროფესიული მასწავლებელი ჰყავთ, 7 ზოგადი, ხოლო 23 პროფესიული მოდულების. პროგრამას ჰყავს დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელთანაც დადებულია ხელშეკრულება შესაბამისი ფუნქციების მითითებით. საგანმანათლებლო რესურსი სრულადაა ხელმისაწვდომი. კომპონენტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი და დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმის შესრულების უზრუნველყოფის თაობაზე, რათა სარემონტო სამუშაოები დასრულდეს განსაზღვრულ ვადებში, კერძოდ, 2021 წლის ივნისში. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს წარუდგინა კოლეჯის ინტერიერის და აღჭურვილობის ფოტოები, პრეზენტაცია გააგრძელა დარგის ექსპერტმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ქვეყანაში არსებობს ექთნების

დეფიციტი და ექთნის პროფესია დასაქმების პრიორიტეტულობის თვალსაზრისით არის სამეულში, ამდენად კურსდამთავრებულები აუცილებლად დასაქმდებიან, მაშინ როცა საერთაშორისო მაჩვენებელი ექიმი/ექთანის თანაფარდობისა არის $\frac{1}{4}$, საქართველოში ეს მაჩვენებელია 1/0,8. დარგის ექსპერტმა ხაზი გაუსვა, რომ მისი ყურადღების საგანი ვიზიტის დროს იყო კლინიკური პრაქტიკის ობიექტების გამტარუნარიანობის შეფასება სტუდენტების გაზრდილ კვატასთან დაკავშირებით. დისტანციურ ჩართვაში ჯგუფი გაესაუბრა ევექსის ჰოსპიტლების წარმომადგენელს, გარდა ამისა წარმოდგენილ იქნა კლინიკაში სტუდენტთა დატვირთვის ცხრილი, რამაც დამაჯერებელი შთაბეჭდილება მოახდინა, გვქონდა დამაზუსტებელი შეკითხვები, აღნიშნა დარგის ექსპერტმა სტუდენტების როტაციის, მათი გადაწილების, ადგილობრივი რესურსების საკმარისობის, თაობაზე, ასწრებენ თუ არა კლინიკური მოდულებით გათვალისწინებული ყველა შდების გავლას, საოპერაციოზე წვდომა აქვთ თუ არა, კოლეჯს ამ მიმართულებით ოპერირების დიდი ისტორია აქვს, გაუმჯობესება მუდმივად უნდა მიმდინარეოდეს. გაუმჯობესების რეკომენდაციები დარგის მიმართულებით არ გაცემულა. ნანა შარაბიძემ დაამატა, რომ ერთადერთი ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის გამტარუნარიანობაში შეეპარათ ექვი, მაგრამ ადგილზე გადაისინჯა განრიგი, დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ ექსპერტებმა გარკვეულწილად განვითარების ფუქცია შეასრულეს და არა მხოლოდ ინსპექტირებით შემოიფარგლნენ, რაზეც საბჭოს თავმჯდომარემ გააკეთა კომენტარი, რომ ეს ახალი და პროგრესული პრაქტიკაა. დაწესებულების წარმომადგენლებმა ითხოვეს, რომ მომხდარიყო მონიტორინგის ვადის კორექტირება და მონიტორინგის ჩაინიშნა მიმდინარე წლის 10 სექტემბრიდან. მადლობა გადაუხადეს ექსპერტებს კონსტრუქციული დამოკიდებულებისთვის, რაც ნამდვილად აღსანიშნავია, აქვე ცენტრის წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა, რომ ქალბატონი ნანა შარაბიძე და გიორგი ბერია დღეს უკვე ახალ ამპლუაში არიან, როგორც ცენტრის დირექტორის 24 მაისის ბრძანებით დამტკიცებული ექსპერტთა ახალი კორპუსის წევრები, რომლებიც ხარისხის სერტიფიცირებულ ექსპერტებს და დარგის ექსპერტებს აერთიანებს, საბჭოს თავმჯდომარემ მიულოცა ახალ კორპუსს, ახალი გუნდის წევრობა, ასევე, მადლობა გადაუხადა ძველი კორპუსის წევრებს. აღნიშნა, რომ ექსპერტთა კორპუსი დიდად განსაზღვრავს ავტორიზაციის პროცესის ხარისხს.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას „საექთნო საქმის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი. საბჭოს წევრებს გააცნო პროგრამის პარამეტრები და აღნიშნა, რომ გადაწყვეტილება ძალაში შევა 2021 წლის 2 ივნისიდან.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 11

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას „საექთნო საქმის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 475-ით (დანართი 13).

საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით იმ კომპონენტზე, რომელიც მეტწილად შესაბამისად იყო შეფასებული ექსპერტების მიერ და დადასტურებული კოლეჯის მიერ - კომპონენტი: 2.2. მონიტორინგის განხორციელების პერიოდი 2021 წლის 10 სექტემბრიდან. მონიტორინგის განხორციელების ფორმა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი.

16:15 საათზე სხდომა დატოვა დეა აბულაძემ.

16. ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2“-სთვის „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საკითხი წარადგინეს ქალბატონმა მანანა მახარაშვილმა და ბატონმა გივი დოლიძემ. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში შეფასდა მეორე სტანდარტი სრულად. ექსპერტების მიერ განხილული და შესწავლილი იქნა დაწესებულების როგორც წინასწარ გადმოგზავნილი, ისე პროგრამასთან დაკავშირებული დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტაცია და ვებ-გვერდზე განთავსებული მასალა. დისტანციური ადმინისტრაციული წარმოება და დაწესებულების პერსონალთან გასაუბრება, წინასწარ შეთანხმებული განრიგის

შესაბამისად, შედგა 2021 წლის 14 აპრილს, ZOOM პლატფორმის გამოყენებით. კოლეჯის დამფუძნებლები არიან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და შპს „ბკ კონსტრაქშენი“.

ხარვეზები არ გამოვლენილა, გაიცა განმავითარებელი რეკომენდაციები:

კრიტერიუმი 2.1.1.

- დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნებში უმაღლეს განათლებასა და სამუშაო გამოცდილებასთან ერთად გაითვალისწინებული იქნეს პროფესიული კვალიფიკაცია/განათლება.

კრიტერიუმი 2.2.1.

- სასურველია, ვებ-გვერდზე განთავსებული საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალში, სასწავლო რესურსი წარმოდგენილი იყოს საბიბლიოთეკო წესების შესაბამისად და ამასთან იძლეოდეს შესაბამის მოდულთან/მოდულებთან მარტივად იდენტიფიცირების შესაძლებლობას.

- დაწესებულების „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის“ 8.1.8 პუნქტის თანახმად „ელექტრონულ მატარებლებზე არსებული რესურსით სარგებლობა ბიბლიოთეკის მკითხველს შეუძლია მხოლოდ ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში არსებული კომპიუტერების გამოყენებით“, რაც საკმაოდ მოუქნელს ხდის საგანმანათლებლო რესურსებით სარგებლობის შესაძლებლობას. საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, დაწესებულებამ ასევე

უზრუნველყოს ელ. რესურსის მიწოდება სხვადასხვა საკომუნიკაციო არხით ან ელ. მატარებლით.

კრიტერიუმი 2.3.1.

- დაწესებულების პროცედურა აქცენტირებულია ხარვეზების აღმოჩენასა და მათ კორექტირებაზე, თუმცა ხარისხის მენეჯმენტის უზრუნველყოფის მიზნით, მენეჯმენტი ასევე ორიენტირებული უნდა იყოს დადგენილ სტანდარტებთან/პროცედურებთან შესაბამისობის შენარჩუნებასა და არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. სასურველია, დაწესებულებამ მოახდინოს პროცედურის რედაქტირება, პროცესის სრულყოფის მიზნით, შეიმუშაოს/დაგეგმოს ხარისხის მენეჯმენტის შენარჩუნების აუცილებელი ქმედებები. ასევე, სასურველია პროცესების მართვის გაუმჯობესების მიზნით დაწესებულებამ დაადგინოს (ან ინტეგრირდეს სამოქმედო გეგმებში) კვლევისა და პროცესების შესრულების ეფექტურობის მაჩვენებლები. ასევე, სამოქმედო გეგმის ანალიზის/ანგარიშის დოკუმენტების შინაარსი მოიცავდეს არა მხოლოდ შესრულებული აქტივობების აღწერას, არამედ დაგეგმილი და განხორციელებული ამოცანების

შესრულების, მიღწეული შედეგების/მოლოდინების ხარისხისა და ეფექტურობის მაჩვენებლებს/ანალიზს. სამოქმედო გეგმის შესრულების ან/და პროცესების ხარისხის უზრუნველყოფის ანალიზის დოკუმენტში აისახოს მიმდინარე პერიოდში განხორციელებული გარე შეფასებისა და მათზე რეაგირების შესახებ ინფორმაცია.

- პროცესების ეფექტურობის უზრუნველყოფის მიზნით, სასურველია პროგრამაში ცვლილების პროცესმა მოიცვას ყველა ის პირი, რომელიც ჩართულია პროგრამის კომპონენტის/მოდულის განხორციელების პროცესში და კომპეტენტურია გააკეთოს შესაბამისი დასკვნა/ინიცირება.

კრიტერიუმი 2.4.1.

- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისას, დაწესებულებას გათვალისწინებული აქვს ყველა სხვა შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის აქტიური ჩართულობა პროგრამის შემუშავების პროცესში, გარდა სსსმ/შშმ პირების მიერ სწავლის შედეგების ვერ დადასტურების შემთხვევისა. დაწესებულებამ ამ შემთხვევაშიც უნდა უზრუნველყოს, სსსმ/შშმ პირების კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, მათი და/ან მათი კანონიერი წარმომადგენლების/მეურვეების აქტიური ჩართვა პროგრამის შემუშავება-შეთანხმების პროცესებში.

- პროცესების გაუმჯობესებისა და ეფექტურად მართვის მიზნით, სასურველია დაწესებულებამ აწარმოოს გამოვლენილი საჭიროების/აპელაციის წარმოშობის მიზეზი/მიზეზების და მათი გადაჭრისთვის განხორციელებული ღონისძიებების ეფექტურობის კვლევა. ასევე, სასწავლო პროცესისა და ხარისხის მენეჯმენტის ეფექტურობის უზრუნველყოფის მიზნით, სასურველია დაადგინილი იყოს პროცესის ეფექტურობის ზღვარი/გასაჩივრების შესაძლო დასაშვები რაოდენობა. აღნიშნული საკითხების წარმოების წესები აისახოს შესაბამისი პროცედურაში.

- საგანმანათლებლო პროგრამების მიმართულების გათვალისწინებით, დაწესებულებამ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას უნდა იხელმძღვანელოს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით No01-126/ნ „18 წლამდე ასაკის პირისთვის მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების ჩამონათვალის დამტკიცების თაობაზე“ (30.11.2020 წ.), რომლის თანახმად „პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების ტიპი განეკუთვნება მძიმე სამუშაოს, ხოლო სწავლების მიზნებიდან გამომდინარე, საწარმოს გარდა შესრულებული საქმიანობა, დავალებების ხასიათიდან და პირობების გათვალისწინებით, რაც სავარაუდოდ საფრთხეს არ შეუქმნის პირს, განიხილება მსუბუქ სამუშაოდ, რაც მოითხოვს დაწესებულების მხრიდან მაქსიმალურ მობილიზებას, რისკების მართვასა და უსაფრთხოების ნორმების ზედმიწევნით დაცვა-გათვალისწინებას.“ რეგულაციის მოთხოვნებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, დაწესებულებამ შეიმუშაოს პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების ფარგლებში რისკების მართვის ღონისძიებების გეგმა.

ექსპერტთა მიერ 2.1 და 2.3 კომპონენტები შეფასდა, როგორც სრულად შესაბამისი, ხოლო 2.2. და 2. 4. კომპონენტები შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი.

2.2. კომპონენტის მეტწილი შესაბამისობის საფუძველი იყო, რომ დაწესებულებას ამ ეტაპისთვის არ აქვს სრულად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის“ განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური აღჭურვილობა (ინსტრუმენტები და სხვა რესურსი). პროგრამის ხელმძღვანელისა და დაწესებულების ფინანსური მენეჯერის ინტერვიუებისას გაირკვა, რომ დარჩენილი რესურსის შეძენა უახლოეს ვადაში განხორციელდება (ჯამში 11 200 ლარის აღჭურვილობა); დაწესებულების მიერ წარმოდგენილია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ფინანსური რესურსით უზრუნველყოფის დოკუმენტაცია პროგრამის აუცილებელი მატერიალური რესურსის დაფინანსებასა და შესყიდვებთან დაკავშირებული თანხმობისა და პროცესების დაწყების შესახებ). წარმოდგენილია ასევე შესაბამისობის გეგმა, სადაც დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროგრამებისათვის „თაბაშირ მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ და „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები“, C გარემოებისა და ლაბორატორიის

(ინტეგრირებული მოდულებისათვის) აღჭურვილობის შეძენა შეფასებულია, როგორც მეტწილი და მთლიანი აღჭურვილობის შეძენის დაწყების ვადა არის 01/03/2021, ხოლო დასრულების ვადა 31/08/2021.

ექსპერტების დასკვნით, 2.4.1.6. ინდიკატორის ფარგლებში მეტწილი შესაბამისობის საფუძველი შემდეგში მდგომარეობდა: პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების ტიპი განეკუთვნება მძიმე სამუშაოს, ხოლო სწავლების მიზნებიდან გამომდინარე, საწარმოს გარდა შესრულებული საქმიანობა, დავალებების ხასიათიდან და პირობების გათვალისწინებით, რაც სავარაუდოდ საფრთხეს არ შეუქმნის პირს, განიხილება მსუბუქ სამუშაოდ, რაც მოითხოვს დაწესებულების მხრიდან მაქსიმალურ მობილიზებას, რისკების მართვასა და უსაფრთხოების ნორმების ზედმიწევნით დაცვა-გათვალისწინებას.“ გამომდინარე აღნიშნული რეგულაციიდან, დაწესებულებას განსაზღვრული უნდა ჰქონდეს პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების ფარგლებში რისკები, დონეები და შემუშავებული მათი მართვის ღონისძიებების გეგმა. ექსპერტთა ჯგუფმა წამოადგინა ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტოები.

პრევენტიაციის დასრულების შემდეგ, საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტებინა კოლეჯის ხელმძღვანელობას, რა ვადებში დასრულდებოდა შესყიდვები და აღჭურვილობის სრულად უზრუნველყოფა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შესყიდვების პროცესი მიმდინარეობს, და ითხოვეს, რომ მონიტორინგი ჩაინიშნოს 2021 წლის 31 აგვისტოდან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2“-სთვის „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებისა და გადაწყვეტილების 2 ივნისიდან ძალაში შესვლის საკითხი .

კენჭისყრის შედეგები:

მომრხე: 10

წიააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2“-ს მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 14)**.

საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით იმ კომპონენტზე, რომელიც მეტწილად შესაბამისად იყო შეფასებული ექსპერტების მიერ და დადასტურებული კოლეჯის მიერ - კომპონენტი: 2.2. მონიტორინგის განხორციელების პერიოდი 2021 წლის 31 აგვისტოდან. მონიტორინგის განხორციელების ფორმა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი.

სსიპ კოლეჯ „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ წარმომადგენელმა ითხოვა, მისი საკითხი განსახილველად გადმოეტანათ ადრე, რადგან მნიშვნელოვან შეხვედრაში/ ჩართვაში უნდა მიეღოთ მონაწილეობა, მისი თხოვნა გაითვალისწინა საბჭოს თავმჯდომარემ და კოლეჯ კონსტრუქტორის წარმომადგენლებმა , ასევე ექსპერტებმა, მის თხოვნას მხარი დაუჭირა ცენტრის წარმომადგენელმა, რომელმაც აღნიშნა, რომ მონიტორინგის ეს წარმოება ეხებოდა კოლეჯის მიერ უკვე უფლებამოსიებული პროგრამის ფარგლებში მოდულურთნ ერთად დუალური ფორმით პროგრამის განხორციელების განაცხადს, რამდენადაც ავტორიზაციის დებულება ასეთი ტიპის ადმინისტრაციულ წარმოებას არ ითვალისწინებს, ცენტრი მონიტორინგის გზით წავიდა.

17. სსიპ - კოლეჯ „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საბჭოს წინაშე ექსპერტთა დასკვნა წარმოადგინეს ქალბატონმა ნაზო წიბლიაშვილმა და ბატონმა ვანო ოთხოზორიამ. ადმინისტრაციული წარმოება ეხებოდა „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში როგორც მოდულური, ასევე დუალური მიდგომით პროგრამის განხორციელების შესაძლებლობას. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ეს პროგრამა უკვე ხორციელდება კოლეჯში, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 98 შეადგენს და კოლეჯს სურვილი აქვს პროფესიულ სტუდენტთა გარკვეული რაოდენობისთვის (5 პროფესიული სტუდენტი) -პროგრამა დუალური ფორმით განახორციელოს. ხელშეკრულება გაფორმებულია შპს ქლაუდთან, გადმოგზავნილია 2 სასწავლო გეგმა (მოდულური და დუალური სწავლებისთვის), სწავლის შედეგების განაწილების ცხრილი, საიდანაც ირკვევა, რომ პროფესიული მოდულების სწავლის შედეგების 50 %-ზე მეტი გატანილია პარტნიორ კომპანიაში, სადაც გამოყოფილია 2 ინსტრუქტორი. ექსპერტთა ჯგუფი დუალურის ფორმით განხორციელების შეფასებისას დაეყრდნო შპს ქლაუდის გამტარუნარიანობას და ხელშეკრულების პირობებს, სასწავლო გეგმის შედგენისას დაცულია მოდულზე დაშვების წინაპირობები, ასევე განმეორებითი შეფასების ვადები; 20 პროფესიული მასწავლებელია ჩართული პროგრამის განხორციელებაში, კვირული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, ცვლილება პროფესიული მასწავლებლების მიმართულებით არ განხორციელებულა, მატერიალური ბაზა დამაკმაყოფილებელია, ხარვეზები არ დაფიქსირებულა, შესაბამისობის რეკომენდაციები არ გაცემულა. პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო რესურსები ელექტრონულადაა, რაზეც დარგის ექსპერტმა დაამატა, რომ მეტად საყურადღებოა პარტნიორი კომპანიის მზაობის საკითხი, შეუძლიათ თუ არა იმ სწავლის შედეგებზე გასვლის უზრუნველყოფა, რაც მათთან იგეგმება. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში კომპანიას ნათლად ~ გაცნობიერებული საკუთარი როლი, დუალური მიდგომით პროგრამის განხორციელებაში; ინსტრუქტორი დარგის სპეციალისტია, რომელიც დეტალურად იცნობენ მოდულებს, ვინაიდან კომპანია მანამდეც იყო პარტნიორი ამ კოლეჯის, დარგის ექსპერტს ეჭვი არ ეპარება, რომ დუალური მიდგომით პროგრამის განხორციელების ხარისხი იქნება მაღალი. ცენტრის წარმომადგენელმა სთხოვა დარგის ექსპერტს დაედასტურებინა, რომ სწავლის შედეგების 50% და მეტი გატანილია პარტნიორ კომპანიაში, ექსპერტებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს, შორენა ჯაფარიძე დაინტერესდა რამდენი პროცენტია სწავლის შედეგების შესაბამისი საათებისა კომპანიაში გატანილი, რაზეც ექსპერტებმა დაზუსტებული ციფრი დაასახელეს, რომ კომპანიაში გატანილია სწავლის შედეგების 50,16%, სასწავლო რესურსები მითითებულია პროგრამაში, ბიბლიოთეკაშიც ხელმისაწვდომია, როგორც მატერიალური ასევე ელექტრონული რესურსები, რაზეც ყველა სტუდენტს ეძლევა წვდომა, მათ შორის შეფასებაც ელექტრონულ პლატფორმაზეა., რაც დაადასტურა დარგის ექსპერტმაც, რომ კოლეჯს აქვს თანამედროვე ქსელური და სისტემური პარამეტრების აპარატურა, უახლესი თანამედროვე გამოწვევების შესაბამისი, რაც სტუდენტებისათვის კიდევ მეტ შანსს იძლევა, მიიღონ თანამედროვე, ხარისხიანი განათლება. დაწესებულების წარმომადგენელმა მაღლობა გადაუხადა ექსპერტებს

იმ პროფესიული დამოკიდებულებისთვის და ფასეული რეკომენდაციებითვის რაც გაიცა. სურვილი გამოთქვა ხშირად ხდებოდეს ასეთი ტიპის ადმინისტრაციული წარმოებები, რაც განვითარების მეტ საშუალებას იძლევა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიაში“ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის და სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 6 სექტემბრის №140 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 10

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

შეწყდეს სსიპ - კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიაში“ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოება და შევიდეს ცვლილება სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 6 სექტემბრის №140 გადაწყვეტილებაში და დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (დანართი 15).

18. ა(ა)იპ კოლეჯ „კონსტრუქტ2“-სთვის „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საკითხი წარადგინეს ქალბატონმა მანანა მახარაშვილმა და ბატონმა იაზონ დანელიამ. ექსპერტებმა ყურადღება აღარ გაამახვილეს წინა პროგრამის ფარგლებში აღნიშნულ მიგნებებზე, პროგრამის დამატების მიზანშეწონილობა ეყრდნოდა ემისის მონაცემებს, კვლევა ეხებოდა იმ ტენდენციას, სკოლებში რა დინამიკაც აღინიშნება, რომ მოსწავლეების ინტერესია გაიარონ ინტერგირებულ მოდულებიანი პროგრამები, რაც მოსაწონი არჩევანია კოლეჯისთვის, რომელიც მუნიციპალიტეტში ერთადერთია. ქალბატონმა მანანა მახარაშვილმა აღნიშნა, რომ არ დაფიქსირებულა ხარვეზები. პროგრამაში რეკომენდაციები გაიცა ექსპერტების მხრიდან მასთან დაკავშირებით, რომ პერსონალი შერჩეულიყო რეგულაციის შესაბამისად, რაც უფრო გააადვილდება პერსონალის მოძიებას;სამოქმედო გეგმა ყოფილიყო უფრო კონკრეტული პერსონალის განვითარების მიმართულებით, რასთან მიმართებაში გეგმავს დაწესებულება

აქტივობების დაგეგმვას, აქვე ყურადღება გამახვილდა საბუნებისმეტყველო მოდულის ფარგლებში გაცემულ რეკომენდაციაზე, რომ უსაფრთხოების მიზნით ამ მოდულის განხორციელების გარემოში დამონტაჟებულიყო გამწოვი კარადა და სველი წერტილი. დაწესებულებას დარგობრივი მოდულების რესურსი არ ჰქონდა ვიზიტის დროს, თუმცა ჰქონდა მიმოწერა სამინისტროსთან, რის საფუძველზე გამოიყო 70000 ლარამდე, რომლითაც იქნება შესყიდული დარგობრივი აღჭურვილობა, კონტინგენტი განისაზღვრება 60 სტუდენტით, თითოეულ მიღებაზე 20 სტუდენტი. დაშვების წინაპირობა შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტთან, პროგრამის განსახორციელებლად საჭიროა A, B, C გარემო, ასევე ლაბორატორია ინტეგრირებული მოდულებისთვის, რამდენადაც ინტეგრირებული მოდულების სწავლება 3 წელი გრძელდება, ლაბორატორიის დატირთვა კვირაში 7 საათია. პერსონალი შერჩეული იყო კონკურსის წესით, ინტეგრირებული მოდულების მასწავლებლები სკოლის აქტიური მასწავლებლები არიან. დარგის ექსპერტის დასკვნით, დარგობრივი მოდულების მასწავლებლებს არ უფიქსირდება სისკოს სერტიფიკატები, თუმცა დარგის ექსპერტმა დაამატა, რომ არ არის აუცილებლობა, რომ იყოს სერტიფიცირებული, მაგრამ უნდა ჰქონდეს წვდომა ელექტრონულ სასწავლო რესურსთან, რაც სასურველია. გაიცა რეკომენდაცია, დეტალიზებული ყოფილიყო კვალიფიკაციის ამაღლების კურსების განხორციელება. უკვე გაფორმებული აქვთ სისკოს რეგიონულ ორგანიზაციასთან მემორანდუმი და დარგობრივი მოდულების განხორციელების დაწყებამდე ეს მოესწრება. სისკოს ლაბორატორიის აღჭურვილობა დაწესებულებას ადგილზე არ ჰქონდა, თუმცა ჰქონდა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც დამტკიცებიდან ექვს თვეში უნდა დასრულებულიყო აღჭურვა. კოლეჯის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ვიზიტი იყო კოლეგიალური, განვითარებაზე ორიენტირებული, აღჭურვილობას რაც შეეხება, ვიზიტის შემდეგ ნაბიჯები გადაიდგა, მაგრამ ჯერ კიდევ არაა ყველაფერი შესყიდული, მათ შორის გამწოვი კარადა და სველი წერტილი. სისკოს ლაბორატორიასა და აქსესუარების შეძენის საჭიროებას რაც შეეხება, უკვე დაკონტრაქტებულია და 2 თვეში სათანადო რესურსი ექნება კოლეჯს, რაც შეეხება კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვას, სამინისტრომ გამოყო თანხა, მიმდინარეობს ბაზრის მოკვლევა, და გაუმჯობესების გეგმით განსაზღვრულ ვადაში შეძნილი იქნება, განხილვაში ჩაერთო ფინანსური მენეჯერი, რომელმაც დააზუსტა შესყიდვის დეტალები. დაწესებულებამ ითხოვა, მიეცათ ვადა 17 სექტემბრამდე, რათა დაესრულებინათ შესყიდვები და ამის შემდეგ ჩანიშნულიყო მონიტორინგი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ კოლეჯ „კონსტრუქტ2“-სთვის „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები და გადაწყვეტილების 2 ივნისიდან ძალაში შესვლის საკითხი. პროგრამის პარამეტრების წაკითხვისას, გაურკვეველობა გამოიწვია პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის საკითხმა, ექსპერტთა დასკვნაში მითითებულია, რომ ზღვრული რაოდენობაა 60 პროფესიული სტუდენტი, აქედან 60 ინტეგრირებულ პროგრამაზე, თუმცა ექსპერტებს მითითებული ჰქონდათ 20, თითო მიღებაზე 20 სტუდენტი, კოლეჯის წარმომადგენელმა დატვირთვის და აუდიტორიების მონაცემების დაკონკრეტებით დააზუსტა, რომ კოლეჯს აქვს შესაძლებლობა გაატაროს 60 სტუდენტი და ამდენივე მიიღოს ინტეგრირებულ მოდულებიან პროგრამაზე, მარიამ ჩაგელიშვილმა კიდევ ერთხელ მოითხოვა ექსპერტებისგან, დაეზუსტებინათ ეს საკითხი, ექსპერტებმა დააზუსტეს, რომ ეთანხმებიან კოლეჯის მოთხოვნას, ინტეგრირებულ პროგრამაზე 60 პროფესიული სტუდენტის მიღების თაობაზე. ცენტრის წარმომადგენელმა მოითხოვა ეს ყველაფერი ასახულიყო ოქმში.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 10

გადაწყვეტილება:

ა(ა)იპ კოლეჯ „კონსტრუქტ2“-ს მიენიჭოს უფლება დამატებით განხორციელოს დანართით განსაზღვრული „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (დანართი 16)

საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით იმ კომპონენტებზე, რომელიც მეტწილად შესაბამისად იყო შეფასებული ექსპერტების მიერ და დადასტურებული კოლეჯის მიერ - კომპონენტი 2.2. მონიტორინგის განხორციელების პერიოდი 2021 წლის 17 სექტემბრიდან. მონიტორინგის განხორციელების ფორმა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი.

16:52 საათზე სხდომა დატოვა სერგო ნოზაძემ

19. შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელის „საექთნო განათლების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინეს ქალბატონმა ქეთევან ბოტკოველმა და ბატონმა გიორგი ბერაიამ. ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელში (ქ. თელავი, ლესელიძის ქ N 1), „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადი და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, აღნიშნული პროგრამა კოლეჯმა დაიმატა 2020 წელს, ამ ეტაპზე ითხოვს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდას. რეგიონში მოთხოვნა ექთნებზე მაღალია, რაც გამოიკვეთა პარტნიორ კლინიკებთან გასაუბრების დროსაც. შეფასდა მეორე სტანდარტის 2.2. კომპონენტი დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით მიმდინარე წლის 6 აპრილს. დისტანციური ჩართვისას შესწავლილ იქნა: ა) თელავის განყოფილებაში ადმინისტრაციული თანამშრომლების კომპეტენცია და სამუშაო აღწერილობები; ბ) საგანმანათლებლო პროგრამის მართვის სპეციფიკა; გ) პროგრამის განხორციელების პირობები კოლეჯში: აუდიტორიები; ადგილების რაოდენობა; მატერიალური რესურსი, რაც უკავშირდება მოდულების განხორციელებას; ადამიანური რესურსი; გ) პროგრამის განხორციელების პირობები კლინიკური პრაქტიკის ობიექტებზე: მათი შესაძლებლობები (განყოფილებები, პროფესიულ სტუდენტთა ერთდროული მიღების შესაძლებლობები, „საექთნო განათლების“ მოდულური პროგრამის განხორციელების სპეციფიკის ცოდნა; დასკვნის პროექტის მიხედვით დაწესებულებას უფიქსირდებოდა შეუსაბამოები რამოდენიმე ინდიკატორის მიხედვით, თუმცა მას შემდეგ, რაც კოლეჯმა შეწყვიტა პარალელურად მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოება ფარმაციის პროგრამის დამატების თაობაზე და გამოთავისუფლდა როგორც მატერიალური, ასევე, ადამიანური რესურსი, ექსპერტთა დასკვნა გადაიხედა და 2.2. კომპონენტი შეფასდა, როგორც სრულად შესაბამისი. გაიცა განმავითარებელი რეკომენდაციები: 2.2.1.1. კოლეჯს მიეცა რეკომენდაცია - კლინიკური პრაქტიკის დაწყებამდე განახორციელონ კლინიკური პრაქტიკის განხორციელებაში ჩართული პირების ტრენინგი მოდულური პროგრამის განხორციელების და სწავლის შედეგების შეფასების მიმართულებებით; 2.2.1.1. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია კოლეჯის მარეგულირებელი დოკუმენტებში მითითებული ჩანაწერები, შესაბამისობაში მოიყვანოს მოქმედ კანონქვემდებარე აქტებთან; ექსპერტთა ჯგუფი არ დაეთანხმა დაწესებულების მიერ მოთხოვნილ, 86 პროფესიული სტუდენტით ზღვრული რაოდენობის გაზრდის მოთხოვნას და განსაზღვრა, რომ ზღვრული რაოდენობა შეიძლება გაიზარდოს 34 პროფესიული სტუდენტით და გახდეს 88. აქვე ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ საზოგადოებრივ კოლეჯ „ფანასკერტელის მიერ

დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი იქნა არგუმენტირებული პოზიცია, რაც განხილულ იქნა ექსპერტთა ჯგუფის მიერ. კოლეჯის მიერ წარმოდგენილ პოზიციაში გამოირკვა ახალი გარემოება, კერძოდ მან მიმართა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს ფარმაციის (სააფთიაქო) პროგრამის დამატების ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ. ასევე წარმოადგინა „საექთნო განათლების“ პროგრამის დეტალური საათობრივი ბადე არსებული და სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 34 სტუდენტით (ერთი ჯგუფი) გაზრდის შემთხვევისათვის აუდიტორიებისა მასწავლებელთა დატვირთვის შესახებ. ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა ეს კონკრეტული საკითხი და კოლეჯის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის მე-3 პუნქტთან დაკავშირებით დეტალური სააუდიტორიო და მასწავლებელთა დატვირთვების წარმოდგენილი სქემა და დაადგინა, რომ ახალი გარემოება იძლევა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 34 სტუდენტით გაზრდის შესაძლებლობას. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „ფანასკერტელს“ თელავში „საექთნო განათლების“ პროგრამის კლინიკური კომპონენტის განხორციელების მიზნით გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები (რომლებიც შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტის მოთხოვნებთან), კლინიკებთან: შპს „ავთანდილ ყამბარაშვილის კლინიკა“; ბავშვთა ჯანმრთელობის ცენტრი; საქველმოქმედო ფონდი საქართველოს „კარიტასი“. საქველმოქმედო ფონდ „კარიტასს“ თელავში ფილიალი არ გააჩნია. ადმინისტრაციის განმარტებით „შინ მოვლის“ და „ავადმყოფის მოვლის“ მოდულების განმახორციელებლები თბილისიდან ჩადიან თელავში და ამ მოდულების განხორციელების მატერიალური რესურსი ჩააქვთ თელავის განყოფილებაში. კოლეჯმა წარმოადგინა ხელშეკრულებებში შესული ცვლილებების შეთანხმების დოკუმენტები, რომლებითაც ზემოხსენებული დაწესებულებები იღებენ ვალდებულებას აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მოემსახურებიან კოლეჯის სტუდენტთა გაზრდილ რაოდენობას. დარგის ექსპერტმა ასევე გაამახვილა ყურადღება შეცვილ გარემოებებზე, რაც ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში განხორციელდა და რამაც შესაძლებლობა მისცა ექსპერტებს, გადაეხედათ დასკვნისთვის და მიეცათ თანხმობა პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის ოპტიმალური რაოდენობით გაზრდისთვის, აქვე აღნიშნა, რომ რამდენადაც თელავში არსებულ კლინიკებს არა აქვთ კლინიკური მოდულების განხორციელების გამოცდილება, მიეცათ რეკომენდაცია, განმახორციელებლებისთვის დაიგეგმოს ტრენინგები სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგიაში. საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების ხელმძღვანელს სთხოვა მოსაზრების გამოთქმა. მათი მხრიდან ექსპერტთა შეფასების მიმართ გამოითქვა მადლობა, ექსპერტთა მიდგომებმა მიახვედრა კოლეჯი სწორი გათვლები გაეკეთებინა და საექთნო განათლების პროგრამის სასარგებლოდ, გაეუქმებინათ ფარმაციის პროგრამის დამატების ადმინისტრაციული წარმოება, რაზეც საბჭოს თავმჯდომარის შეფასება იყო კრიტიკული. კერძოდ, ის რომ კოლეჯს დაგეგმვისას არ ჰქონდა სწორი გათვლები გაკეთებული. მარიამ ჩაგელიშვილის კითხვა ეხებოდა ცენტრს, რატომ არ დაიწყო საექთნო განათლების პროგრამის განხორციელების პარტნიორი კლინიკების შესაძლებლობების შესწავლა, რაზეც ცენტრის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ყველა კონკრეტული წარმოების ფარგლებში ეგზავნება შესაბამის მარეგულირებელ სააგენტოს ცენტრიდან წერილი, კონკრეტულ კლინიკას, აქვს თუ არა შესაძლებლობა ამა თუ იმ კლინიკური მოდულის განხორციელებისათვის, უკუკავშირი ეგზავნება ექსპერტებს, თუმცა გამოიკვეთა ის ფაქტიც კი, რომ სახელდება ერთიდაიგივე კლინიკები, რომლებიც, რაც ზედაპირული დაკვირვებით იკვეთება, ბევრი კოლეჯისათვისაა პარტნიორი, ცენტრი თვლის, რომ ეს საკითხი მოკვლევისა და ანალიზის საფუძველი უნდა გახდეს, ვგეგმავთ უახლოეს პერიოდში ამის განხორციელებას. ცენტრის ამ მოსაზრებას დადებითი შეფასება მისცა საბჭოს თავმჯდომარემ და მისცა ცენტრს რეკომენდაცია, გამოიკითხოს ბიზნესები დამოუკიდებელი ორგანიზაციის მხრიდან, რაც დაადგენს, რამდენად პარტნიორი კომპანიები სრულად ახორციელებენ ხელშეკრულების პირობების შესრულებას. მარიამ ჩაგელიშვილმა დაამატა, რომ საბჭოს მიმდინარეობის პროცესშიც ხდება დაკვირვება, განსაკუთრებით დუალური პროგრამებისთვის, როცა კომპანიები მცირე რაოდენობა სტუდენტების სწავლებაზე აცხადებენ თანხმობას, შესასწავლია ის შემთხვევები, როცა

ხელშეკრულებით დიდ რაოდენობა სტუდენტებზე ხდება შეთანხმება, შორენა ჯაფარიძემ ხაზი გაუსვა განხორციელებების მზაობის საკითხსაც, ასევე, მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ საექთნო განათლების პროგრამა გადასახედია, რადგანაც დიდი დოზითაა გატანილი კლინიკური მოდულები კოლეჯის სივრციდან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელისათვის „საექთნო განათლების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხი.

18:03 საათზე სხდომა დატოვა ნინო ველთაურმა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელს „საექთნო განათლების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა ქალაქ თელავში და განესაზღვროს 88-ით. (დანართი 17).

20. შპს - საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ და „კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საკითხი წარადგინეს ქალბატონმა დიანა გახარიამ და ბატონმა ვანო ოთხოზორიამ. საბჭოს თავმჯდომარის თხოვნით ექსპერტებმა ერთიანი პრეზენტაციით წარადგინეს ორი პროგრამის ფარგლებში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები, ხაზი გაუსვეს საერთო და კონკრეტულ აქცენტებს. ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ საქმისწარმოება ეხებოდა შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის მიერ 2019 წელს განხორციელების უფლებამოსილებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ და „კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება“ განხორციელების ფორმის ცვლილებას. მიმდინარე ეტაპზე დაწესებულებამ შესაბამისი განაცხადით მიმართა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს აღნიშნული პროგრამების განხორციელების ფორმის ცვლილების (მოდულური და დუალური მიდგომით) შესახებ, კერძოდ, თითოეულ პროგრამაზე განსაზღვრული 15-15 პროფესიულ სტუდენტიდან, 5-5 პროფესიული სტუდენტის პროგრამის დუალურ ფორმაზე განსაზღვრასთან დაკავშირებით. დისტანციური კომუნიკაცია, თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, შედგა 2021 წლის 29 მარტს. რიგი დოკუმენტები გამოთხოვილი იქნა ექსპერტების მიერ ზოგიერთი დოკუმენტი ვიზიტის დროს იქნა წარდგენილი. ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენლებს: დირექტორი, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, ერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი. ასევე, ინტერვიუ შედგა

პარტნიორი კომპანიების წარმომადგენლებთან - შპს „სქაი-ჰაი“ და შპს „ჯი-თი ჯგუფი“ შემოწმების ფარგლები იყო: 2.1. და 2.2. კომპონენტები. შესწავლილ იქნა ხელშეკრულებები, რომლებიც გაფორმებული იყო პარტნიორ კომპანიებთან, კომპანიები სრულად იაზრებენ იმ პასუხისმგებლობას, რასაც დუალური ფორმით სწავლება ითვალისწინებს, ჩართულები არიან სასწავლო გეგმის შემუშავებაში, სწორადაა განაწილებული სწავლის შედეგები (50%-ზე მეტი გატანილია პარტნიორ კომპანიებში), შრომის უსაფრთხოება სტუდენტებისათვის უზრუნველყოფილი იქნება. ექსპერტებმა წამოადგინეს როგორც კოლეჯის, ასევე პარტნიორი კომპანიების ინფრასტრუქტურა, ხარვეზები არ დაფიქსირებულა, არც შესაბამისობის რეკომენდაციები გაცემულა, მხოლოდ განვითარების რეკომენდაციები გაიცა:

მე-2 სტანდარტი, ინდიკატორი 2.1.1 – 1 ვინაიდან, პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტის ასლი იტყობინება, რომ კოლეჯი იკვლევს შრომის ბაზარს და ატარებს სხვადასხვა კომპანიების გამოკითხვებს, ექსპერტები მიიჩნევენ, უმჯობესია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნებისთვის, ჩატარებული გამოკითხვის ანალიზი/სტატისტიკური მონაცემები/დამუშავებული ინფორმაცია გამოყენებული იქნას პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებლად.

მე-2 სტანდარტი, ინდიკატორი 2.1.1 – 2 ვინაიდან დუალური მიდგომით განხორციელებად პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებასთან დაკავშირებით, საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებას, ბრძანებასა და პარტნიორ კომპანიასთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში ვხვდებით სხვადასხვა ჩანაწერებს, ექსპერტების შეფასებით, საჭიროა დაწესებულებამ უზრუნველყოს მის მიერ დამტკიცებული რეგულაციების და გაფორმებული ხელშეკრულებების მიმდინარე საკანონმდებლო აქტებთან და ერთმანეთთან თანხვედრაში მოყვანა. ასევე, მიზანშეწონილია დუალური მიდგომით განხორციელებად პროგრამებზე სტუდენტის სტატუსის მოპოვებასთან დაკავშირებული რეგულაცია მოიცავდეს პროცედურულ ინფორმაციას მიღების გამოცხადების, რეგისტრაციის და შერჩევის პირობების შესახებ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება“ შემთხვევაში, ვინაიდან დაგეგმილია პარტნიორი კომპანიის მონაწილეობა მიღების პროცედურებში, ხოლო მის წარმომადგენელთან გასაუბრებისას შეინიშნება ინფორმაციის სიმწირე მიღების ეტაპების თანმიმდევრობასთან დაკავშირებით, სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს პარტნიორი კომპანიის უფლებამოსილი წარმომადგენლებისთვის ჩარიცხვის პირობების (პროცედურისა და პროცედურის თანმიმდევრობის) შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდება და საჭირო საკითხებზე/ეტაპებზე შეთანხმება. მე-2 სტანდარტი, ინდიკატორი 2.1.1 – 3 ვინაიდან „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ სხვადასხვა პუნქტებში მითითებულია სხვადასხვა კრიტერიუმები და ზოგიერთ შემთხვევაში პუნქტები ერთმანეთს ფარავენ, ექსპერტების შეფასებით, საჭიროა დოკუმენტის დახვეწა - გამოსაკვეთია პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების ზღვრული ოდენობის გამოსაანგარიშებლად პრაქტიკულად გამოყენებული კრიტერიუმები. ხოლო დაწესებულების საერთო კვოტა არ საჭიროებს ცალკე დაანგარიშებას, ვინაიდან ის წარმოადგენს განხორციელებად პროგრამებზე პროფესიული სტუდენტების ზღვრული ოდენობების ჯამს. ასევე, რეკომენდებულია კოლეჯმა განიხილოს ზემოხსენებულ მეთოდოლოგიაში არსებული ჩანაწერის საჭიროება 20 პროფესიულ სტუდენტზე მინიმუმ 1 მასწავლებლის არსებობის შესახებ.

მე-2 სტანდარტი, ინდიკატორი 2.1.1 – 8 ინდიკატორის ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე, ექსპერტების შეფასებით, აუცილებელია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირებისთვის იმგვარი მექანიზმის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს ტექნიკური ხასიათის შეცდომების და ჩანაწერებში უზუსტობების პრევენციას. რეკომენდებულია ცენტრის გზამკვლევების გამოყენება პროგრამის ადაპტირებისას. ამასთან ვინაიდან დუალური მიდგომით პროგრამის განხორციელებისას, ზოგიერთი მოდული/სწავლის შედეგი ისწავლება დაწესებულებაში, ხოლო ზოგიერთი - პარტნიორ კომპანიაში (რაც ასახულია

სწავლის შედეგების განაწილების ცხრილში, მაგრამ არ წარმოადგენს პროგრამის ნაწილს), უმჯობესია აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია დატანილი იქნას რომელიმე დამტკიცებულ/ხელმოწერილ დოკუმენტში: - პარტნიორ კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამის ნაწილში (მაგ. მის დანართად იქნეს ფორმირებულ სწავლის შედეგების განაწილების ცხრილი); - ან პროგრამაში ან/და სასწავლო გეგმებში, რაიმე სახის აღნიშვნის გზით, იდენტიფიცირებადი გახდეს კომპანიისა და კოლეჯის ბაზაზე განხორციელებადი მოდულები/მოდულების ნაწილები. - ან იმგვარი ალტერნატივა, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება დაწესებულებასა და კომპანიას შორის განაწილებული მოდულების/სწავლის შედეგების და მათი განხორციელების/მიღწევისა და შეფასების ადგილისა და სხვა თავისებურებების შესახებ ინფორმაციის ამოღება.

მე-2 სტანდარტი, ინდიკატორი 2.2.1 – 6 სსსმ პროფესიულ სტუდენტების სასწავლო რესურსით უზრუნველყოფის თაობაზე დაწესებულების მიდგომის აღსაწერად, ექსპერტების მოსაზრებით, სასურველია დაწესებულებამ რეგულაციაში დააზუსტოს შესაბამისი პუნქტები - განმარტოს/აღწეროს რესურსების ადაპტირების/ დამატებითი მომსახურეობის შემთხვევები და განსაზღვროს პროცესზე პასუხისმგებელი პირ/ები/ი.

მე-2 სტანდარტი, ინდიკატორი 2.2.1 – 7 ექსპერტების შეფასებით, ვინაიდან წარმოდგენილი ბიუჯეტი არ მოიცავს დაწესებულების მიერ გაჟღერებულ ინფორმაციას წარმოდგენილი პროგრამების ფარგლებში ვაუჩერული დაფინანსების არსებობის შესახებ, აუცილებელია დაზუსტდეს შემოსავლების როგორც სახეობა, ასევე ოდენობა და განისაზღვროს პროგრამის განხორციელების რენტაბელობის რეალური ზღვარი - ის მინიმუმი, რომლის შემთხვევაშიც პროგრამა ფინანსურად მდგრადია.

1-ლი სტანდარტი ინდიკატორი 1.1.1 – 2 კოლეჯის მიერ განხორციელებადი პროგრამების მიმართულების გათვალისწინებით, ექსპერტების რეკომენდაციაა დაწესებულებამ გადახედოს მისიას, მისი პროფილის გამოკვეთის მიზნით; ამასთან მიზანშეწონილია გათვალისწინებული იქნას პროფესიული განათლების სპეციფიკა „უნარებზე“ და არა „ცოდნაზე“ ორიენტირებულების თვალსაზრისით.

ნანი დალაქიშვილმა სთხოვა ექსპერტებს, დაეზუსტებინათ, რამდენად სწორად იყო განაწილებული სწავლის შედეგები კომპანიასა და კოლეჯს შორის და აკმაყოფილებდა თუ არა ჩარჩო დოკუმენტით დადგენილს, რაზეც მიიღო პასუხი, რომ სრულად აკმაყოფილებდა. დარგის ექსპერტმა დაამატა, რომ ძირითადი ფაქტორი რაზეც დუალური პროგრამების ხარისხი ეყრდნობა, პარტნიორი კომპანიაა, მართლაც კარგადა შერჩეული, ერთი - შპს „სქაი ჰაი“ უკვე გამოცდილია, საკუთარი რეკომენდაციებიც უკვე აქვთ ჩამოყალიბებული საკუთარი საქმიანობის, სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად. შორენა ჯაფარიძე დაინტერესდა, ჰქონდათ თუ არა სტუდენტთა შეფასების სისტემა კარგად ჩამოყალიბებულ, რაზეც დადებითი პასუხი მიიღო. მარიამ ჩაგელიშვილმა დაამატა, რომ „სქაი ჰაიმ“ აიტი ასოციაციასთან ერთად ჩაატარა პირველი საკვალიფიკაციო ონლაინ შეფასება სხვა პარტნიორი კოლეჯისთვის და წარმატებით. მანვე აღნიშნა, რომ ამ უნივერსიტეტსაც დაეხმარება აიტი ასოციაცია და GIZ დუალური პროგრამების დანერგვის პროცესში.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯში „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის და შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯისთვის „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 18 სექტემბრის №855799 გადაწყვეტილებაში ცვლილები სშეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯში „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით და შევიდეს ცვლილება შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯისთვის „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 18 სექტემბრის №855799 გადაწყვეტილებაში და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით (**დანართი 18.1**).

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯში „კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის და შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯისთვის „კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 18 სექტემბრის №855797 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯში „კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით და შევიდეს ცვლილება შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯისთვის „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 18 სექტემბრის №855797 გადაწყვეტილებაში და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით (**დანართი 18.2**)

19:00 საათზე საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ საბჭოს სხდომა, მიმდინარეობის პერიოდში, დატოვა რამოდენიმე წევრმა, რამოდენიმე წევრი დატოვებს სხდომას უახლოეს პერიოდში, რადგანაც საბჭოს სხდომა დადგენილზე მეტ ხანს გაგრძელდა, რაც ონლაინ რეჟიმის დროს კიდევ მეტ დატვირთვას ქმნის, ამდენად, საბჭოს თავმჯდომარე მიზანშეწონილად თვლის დარჩენილი სამი საკითხის გადადებას, რაზეც საბჭოს დარჩენილი წევრები დაეთანხმნენ. ამავე დროს, საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ხომ არ გამოიწვევდა საკითხების გადადება ადმინისტრაციული წარმოების ვადების დარღვევას, რაზეც საბჭოს სამდივნოსგან მიიღო პასუხი, რომ არ გამოიწვევდა. ამდენად, საბჭოს სამდივნოს ეთხოვა, უახლოეს სხდომაზე ჩაინიშნოს დარჩენილი სამი საკითხის განხილვა:

21. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „მეფუტკრეობის“ (ქ. სენაკი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შესახებ საკითხი


